საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *თინა ვაშაყმაძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	19	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობები	2	5
ქულათა ჯამი	91	100

სახელი, გვარი: ლევან გზირიშვილი

თარიღი: 27.05.2021 წ.

თინა ვაშაყმაძე

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კანდიდატი არის კორექტული და პატიოსანი. ის პასუხისმგებლობით ეკიდება მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს, მათ შორის ჯეროვნად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს. კანდიდატი იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს, ამასთან, მის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა. მას აქვს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია კოლეგებს შორის. კანდიდატი არის პრინციპული და მას შესწევს უნარი დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები. ის არის მიუკერძოებელი პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20	კანდიდატი დამაკმაყოფილებლად ფლობს სამოქალაქო სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. დამაკმაყოფილებელია მისი ცოდნის დონე ადამიანის

			უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის სფეროში.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20	კანდიდატს გააჩნია ანალიტიკური აზროვნების უნარი. ის თავის მოსაზრებებს აფიქსირებს დამაჯერებლად და დასაბუთებულად. კანდიდატს აქვს შესაბამისი პროფესიული გამოცდილება
წერის უნარი	19	20	კანდიდატს აქვს არგუმენტირებული და გამართული წერის უნარი. თავის გადაწყვეტილებებში ის ნათლად და გასაგებად გადმოსცემს თავის პოზიციას.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15	კანდიდატი ზეპირი კომუნიკაციისას საუბრობს ჩამოყალიბებულად, გააზრებულად და თავდაჯერებულად. თუმცა, გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატმა ყველა ეტაპზე ვერ შეძლო მოთმინებით მოესმინა თანამოსაუბრისათვის.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15	კანდიდატი არის პუნქტუალური და შრომისმოყვარე. მას გააჩნია დამოუკიდებლად აზროვნების უნარი. კანდიდატის პროდუქტიულობასა და სისწრაფეზე მეტყველებს მის მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადების დაცვის მაღალი მაჩვენებელი.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5	კანდიდატი საკმაოდ აქტიურად ესწრება სხვადასხვა ტრენინგსა და სასწავლო შეხვედრას. მას გააჩნია თვითგანვითარების უნარი, ის აქტიურად ეცნობა სხვადასხვა საკანონმდებლო ცვლილებას.
პროფესიული აქტივობა	2	5	კანდიდატი არ ეწევა სამეცნიერო თუ პედაგოგიურ საქმიანობას. ის არ არის რაიმე სამართლებრივი თუ სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. თუმცა, ის აქტიურად ესწრება სხვადასხვა პროფესიულ შეხვედრას.
ქულათა ჯამი	**91**	**100**	
დასაბუთება	საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებას საფუძვლად უდევს გასაუბრება და მის შესახებ მოძიებული ინფორმაცია, რომელიც		

	მოიცავს სხვადასხვა უწყებიდან გამოთხოვილ და თავად კანდიდატის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მისი რეკომენდატორებისა და გამოკითხული რესპოდენტების (კანდიდატის კოლეგების) მიერ შევსებულ კითხვარებსა და რეკომენდაციებს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 36[3] მუხლის შესაბამისად ფასდება კანდიდატის კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობა. **<u>კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით</u>** მოსამართლეობის კანდიდატის, თინა ვაშაყმაძის შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები: • *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;* • *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;* • *პიროვნული და პროფესიული ქცევა;* • *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;* • *ფინანსური ვალდებულება.* **<u>პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი</u>** თინა ვაშაყმაძეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. კანდიდატი თავის ფინანსურ ვალდებულებებს ასრულებს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად. მას არ უფიქსირდება ვადაგადაცილებული ფინანსური ვალდებულებები. თინა ვაშაყმაძე არ არის რეგისტრირებული მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმები კანდიდატს დაფარული აქვს დროულად, კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლებელია ითქვას, რომ კანდიდატი სათანადო პასუხისმგებლობით ეკიდება თავისი ვალდებულებების შესრულებას. **<u>დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა</u>** კანდიდატი არის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი, რასაც ადასტურებენ გამოკითხული რეკომენდატორები და კოლეგები. მას შესწევს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი.

	თინა ვაშაყმაძე არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ანდა შემომწირველი. ამასთან, კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის შეუწყნარებელი ან ტენდენციური დამოკიდებულება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი არის მიუკერძოებელი პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით. **<u>პიროვნული და პროფესიული ქცევა</u>** თინა ვაშაყმაძე სათანადოდ იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს. მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე გამოვლინდა, რომ კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა. თინა ვაშაყმაძის ქცევა და კოლეგებთან ურთიერთობა შეესაბამება მოსამართლის მაღალ წოდებას. კანდიდატი იყო მოპასუხე სამოქალაქო საქმეში, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით მოსარჩელეს სარჩელის მიღებაზე ეთქვა უარი. კანდიდატის მიმართ სისხლისსამართლებივი ბრალდების არსებობის ფაქტი არ ფიქსირდება, ამასთან, ის არ წარმოდგენილა დაზარალებულად. **<u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია</u>** თინა ვაშაყმაძე სარგებლობს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით კოლეგებს შორის. გამოკითხული რეკომენდატორები და კანდიდატის კოლეგები მას ახასიათებენ დადებითად. რესპოდენტები გამოარჩევენ კანდიდატის შრომისმოყვარეობას, სამართლიანობას, მიუკერძოებლობას, კეთილსინდისიერებას, თავმდაბლობასა და ა.შ.. მათ მიაჩნიათ, რომ კანდიდატს რაიმე სახის სისუსტე ან ნაკლოვანება არ ახასიათებს. **<u>ფინანსური ვალდებულება</u>** იმის გათვალისწინებით, რომ კანდიდატი ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში ასრულებს თავის ფინანსურ ვალდებულებებს, მიმაჩნია, რომ არ არსებობს მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ასევე კეთილსინდისიერების პრეზუმფციის გათვალისწინებით, რომლის თანახმად მოსამართლე ითვლება

	კეთილსინდისიერად თუ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის თანახმად არ დადასტურდება მის მიერ რაიმე სახის არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენა, მიმაჩნია, რომ კანდიდატი, თინა ვაშაყმაძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს. **კომპეტენტურობის კრიტერიუმების** მახასიათებლებით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები: • *სამართლის ნორმების ცოდნა;* • *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;* • *წერის უნარი;* • *ზეპირი კომუნიკაციის უნარი;* • *პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;* • *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;* • *პროფესიული აქტივობა.* **სამართლის ნორმების ცოდნა** გასაუბრების შედეგად, შესაძლებელია ითქვას, რომ თინა ვაშაყმაძე დამაკმაყოფილებლად ფლობს სამოქალაქო სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. დამაკმაყოფილებელია მისი ცოდნის დონე ადამიანს უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის სფეროში. გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატს დაესვა არაერთი სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვა. კანდიდატი ცდილობდა ამომწურავად ემსჯელა მისთვის დასმულ ყველა საკითხთან დაკავშირებით. თუმცა, ზოგიერთ საკითხთან მიმართებით კანდიდატმა ვერ განავითარა სათანადო მსჯელობა, ასევე ვერ გაამყარა თავისი მსჯელობა შესაბამისი არგუმენტებით. მაგალითისათვის, სამართალსა და სამართლიანობას შორის განსხვავების თაობაზე. ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით კანდიდატის მსჯელობა იყო ლაკონური, ის გამოხატავდა თავის პიროვნულ მოსაზრებას, თუმცა არ ამყარებდა შესაბამისი სამართლებრივი არგუმენტებით. საბოლოო ჯამში, კანდიდატისათვის დასმული სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის

	შეკითხვებზე მსჯელობისას, კანდიდატმა დამაკმაყოფილებლად ამოწურა კითხვათა საერთო რაოდენობის დაახლოებით 90%. **<u>სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია</u>** კანდიდატს გააჩნია ანალიტიკური აზროვნების უნარი. ის თავის მოსაზრებებს აფიქსირებს დამაჯერებლად და დასაბუთებულად. მას გააჩნია 12-წლიანი პროფესიული გამოცდილება, რომელიც მოიცავს 3-წლიან სამოსამართლო გამოცდილებას. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სასამართლო გადაწყვეტილების შესწავლის შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ თავის მოსაზრებებს ის ამყარებს შესაბამისი არგუმენტებით, რაც მის პოზიციას სძენს დამაჯერებლობას. თავის გადაწყვეტილებაში კანდიდატი რელევანტურად იყენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებებს შესაბამის საკითხებთან დაკავშირებით. გადაწყვეტილებები სტრუქტურულად აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნას. **<u>წერის უნარი</u>** კანდიდატს აქვს არგუმენტირებული და გამართული წერის უნარი. თავის გადაწყვეტილებებში ის ნათლად და გასაგებად გადმოსცემს თავის პოზიციას. **<u>ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>** კანდიდატი ზეპირი კომუნიკაციისას საუბრობს ჩამოყალიბებულად, გააზრებულად და თავდაჯერებულად. თუმცა, გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატმა ყველა ეტაპზე ვერ შეძლო მოთმინებით მოესმინა თანამოსაუბრისათვის. **<u>პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში</u>** კანდიდატი არის პუნქტუალური და შრომისმოყვარე. მას გააჩნია დამოუკიდებლად აზროვნების უნარი, რასაც ადასტურებენ გამოკითხული რეკომენდატორები და კოლეგები. კანდიდატის პროდუქტიულობასა და სისწრაფეზე მეტყველებს მის მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადების დაცვის მაღალი მაჩვენებელი (93,1%, 100 %). **<u>აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</u>**

	კანდიდატი საკმაოდ აქტიურად ესწრება სხვადასხვა ტრენინგსა და სასწავლო შეხვედრას. მას გააჩნია თვითგანვითარების უნარი, ის აქტიურად ეცნობა სხვადასხვა საკანონმდებლო ცვლილებას. კანდიდატს ჩაბარებული აქვს ადვოკატისა და პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდები თინათინს ვაშაყმაძემ 2012 წელს გაიმარჯვა ,,American Councils''-ის მიერ გამოცხადებულ კონკურსში და მონაწილეობდა საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოების მიერ ადმინისტრირებულ პროგრამაში „Open World“ ამერიკის შეერთებულ შტატებში იურიდიულ სფეროში ამერიკული გამოცდილების მისაღებად. **<u>პროფესიული აქტივობა</u>** კანდიდატი არ ეწევა სამეცნიერო თუ პედაგოგიურ საქმიანობას. ის არ არის რაიმე სამართლებრივი თუ სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. თუმცა, ის აქტიურად ესწრება სხვადასხვა პროფესიულ შეხვედრას.

სახელი და გვარი: ლევან გზირიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 27.05.2021 წ.